თამარ გელაშვილი
მარიამ ბაჯაძე
თიკო ზარქუა
თამთა თურქია
სოფო ღლონტი

საქართველოს ფოსტის შესახებ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების შემოღებას , საფოსტო კავშირის ქსელებისა და საშუალებების ფლობის განსაზღვრას და საქართველოში უნივერსალური საფოსტო სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის ეროვნული ოპერატორის ჩამოყალიბებას, რომლის მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. მნიშვნელოვანია, რომ პირველი ეროვნული ოპერატორის დანიშვნა ტენდერისა და ობიექტური შერჩევის პროცესის გვერდის ავლით მოხდა.

როგორც კანონშია ნახსენები (მუხლი <u>მუხლი 24</u>), საფოსტო კავშირის ეროვნული ოპერატორის სტატუსის მატარებელია საფოსტო კავშირის ავტორიზირებული პირი, რომელსაც საფოსტო კავშირით მომხმარებლის უზრუნველსაყოფად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ორგანიზაციული სტრუქტურა. ასევე აღნიშნულია, რომ ეროვნულ ოპერატორს არ აქვს უფლება სხვა ავტორიზირებულ პირს რაიმე ფორმით გადასცეს უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულება თუ სარეზერვო უფლებამოსილება. ამასთან, უნივერსალური საფოსტო მომსახურებისა და სარეზერვო მომსახურების ზღვრულ ტარიფებს ადგენს საფოსტო კავშირის ეროვნული ოპერატორი.

კანონპროექტი გარკვეულ შეზღუდვას უწესებს მომხმარებელსაც. თუ საზღვარგარეთიდან მომხმარებელი გამოაგზავნის კომერციულ გზავნილს, არა საქართველოს ფოსტის არამედ სხვა კომპანიის საშუალებით, ის საქართველოს ტერიტორიას რომ მიუახლოვდება, უნდა განთავსდეს "საქართველოს ფოსტის" კონვერტში და ისე ჩაბარდეს მომხმარებელს. ანუ უნდა შეიცვალოს გადამზიდავი კომპანია, რაც ჩვენი აზრით დაუშვებელია. ეს იწვევს მომხმარებლის უფლებების შეზღუდვას, რადგან მას სურს ერთი კომპანია მოემსახუროს და სწორედ მას ანდოს თავის გზავნილი და არა რამდენიმეს.

კანონპროექტის კიდევ ერთი პრობლემას წარმოადგენს ის ნაწილი, რომელიც გადამზიდავ კომპანიებს ავალდებულებს გაეროს მიერ შემუშავებული „ასიკუდას“ პროგრამის ნაცვლად, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ პროგრამაში იმუშაონ, რომლითაც სწორედ „საქართველოს ფოსტა“ ხელმზღვანელობს. „ასიკუდა“ საქონელს 11 ციფრიან კოდს აიჭებს, მაშინ როცა ახალი პროგრამით კი 4 ციფრიანი კოდირებაა გათვალისწინებული. როგორც გადამზიდავები აღნიშნავენ 4 ციფრინი კოდით საქონლის იდენტიფიცირება რთულდება და იმპორტიორებს ქვეყნის საგადასახადო სამსახურებთან პრობლემები ექმნებათ. გარდა

კოდირების სისტემისა შეცვლისა გადამზიდავები ვალდებულნი არიან იმპორტიორების მხრიდან იმპორტის გადასახდელების დროულ გადახდაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ, რაც რა თქმა უნდა რეალურად სცილდება გადამზიდავი კომპანიების კომპეტენციის სფეროებს.

ახალი რეგულაციებით შემოღებულია რეზერვირებული სერვისი, რაც ითვალისწინებს 30 კგ-მდე ამანათების მომსახურებაზე ექსკლუზიურ უფლება მხოლოდ „საქართველოს ფოსტას“ მიენიჭება, იმ შემთხვევაში კი თუ სხვა კომპანიებსაც სურთ აღნიშნული სერვისებით მოემსახურონ მომხმარებლებს მაშინ მათ მოუწევთ გარკვეული საფასურის გადახდა საქართველოს ფოსტისთვის, რაც აისახება კომპანიების ხარჯების ზრდაზე და საბოლოოდ მომხმარებელზე. ბაზარზე იქმნება არაკონკურენტული გარემო, რაც ბაზრის სეგმენტის ერთი კომპანიის მიერ მონოპოლიზაციით გამოიხატება. იქმნება ბიუროკრატიული ბარიერები კომპანიებისთვის, რაც საბოლოოდ შესაძლებელია მათ მიერ ბაზრის დატოვებაში აისახოს. მსოფლიოში ცნობილი უმსხვილესი გადამზიდავების მიერ ბაზრიდან გასვლა კი უარყოფითი ეკონომიკური შედეგების მომტანი იქნება არამარტო ამ კონკრეტული სფეროსათვის, არამედ მთლიანად ეკონომიკისთვის და საინვესტიციო გარემოსთვის.

კანონპროექტი გარდა საფოსტო მომსახურებებისა აგრეთვე, მნიშვნელოვან ბარიერებს შექმნის საბანკო ოპერატორების საქმიანობაშიც. კანონის მიხედვით, საფოსტო ფულადი გადარიცხვების განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლება კვლავ მხოლოდ "საქართველოს ფოსტას" ექნება. კანონპროექტში საფოსტო ფულადი გზავნილის ტერმინი ზოგადად არის განმარტებული. მასში იგულისხმება არასაბანკო გადარიცხვები - ისეთი გადარიცხვები, რომელთა განხორციელებისთვისაც საბანკო ანგარიშის გახსნა, ან გამოყენება საჭირო არ არის.

საქართველოს ფოსტას ექმნება მნიშვნელოვანი ბერკეტები, რომ ჩამოიცილოს არსებული კერძოკომპანიები ბაზრიდან და დააწესოს მაღალი ბარიერები ბაზარზე ახალი კომპანიის შემოსვლის წინააღმდეგ. ბაზრების მონოპოლიზაციას მთელ მსოფლიოში ებრძვიან. სწორედ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი, რომ ბიზნესმა განვითარების ერთნაირი პირობები, ხოლო მომხმარებელმა - მაღალი ხარისხი და ხელსაყრელი ფასები მიიღოს. საქართველოს მთავრობამაც უნდა გაატაროს რიგი ღონისძიებები, რომ არ განდევნოს ბაზრიდან მსხვილი დამსაქმებლები არამედ ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების ახლებური სისტემის დანერგვით ბაზრის ამ სეგმენტის დემონოპოლიზაცია უნდა მოხდეს და არა პირიქით და ბოლოს მნიშვნელოვანია.

შესაბამისად მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების შემოღებას მოეკიდოს მაქსიმალური სიფრთხილით, რათა არ მოხდეს ბაზარზე მოქმედი კერძო კომპანიების დაზარალება.